საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11898/01
17/11/2021

11898-01-2-202111171754

შპს „მედიკალ ტექნოლოგს“
მის: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N4
ელ. ფოსტა: tamara2903@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 24 სექტემბრის N17239 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში დაგეგმილია ინსინერატორში გაუვნებლებას დაქვემდებარებული ნარჩენების სახეობების ზრდა და მოცემულია შესაბამისი ნარჩენების ჩამონათვალი (ცხრილი 2.3.1.; გვ. 11). გაცნობებთ, რომ „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრულია ნარჩენების მართვის იერარქია. ნარჩენების მართვის კანონმდებლობა, ისევე, როგორც „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2016 წლის პირველი აპრილის №160 დადგენილება, ორიენტირებულია ნარჩენების რეციკლირებასა და ენერგიის აღდგენაზე. ნარჩენების განთავსება წარმოადგენს ნარჩენების მართვის იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურს და იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავების სხვა მეთოდები არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, მიზანშეწონილი არ არის ისეთი ნარჩენების ინსინერაცია, ენერგიის აღდგენის გარეშე, რომელთა აღდგენა ან/და რეციკლირება შესაძლებელია, კერძოდ: 15 01 02 პლასტმასის შესაფუთი მასალა; 15 01 03 ხის შესაფუთი მასალა; 15 01 04 ლითონის შესაფუთი მასალა; 15 01 07 მინის შესაფუთი მასალა; 17 02 03 პლასტმასი; 09 01 11* ერთჯერადი ფოტოაპარატები ელემენტებით, რომლებიც განხილულია 16 06 01, 16 06 02 ან 16 06 03 პუნქტებში;
- ამასთან, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების ინსინერაციის პროცესისთვის გამოყენებული განთავსების ოპერაციის კოდი;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოდან დაახლოებით 80 მეტრში მიედინება მდ. ლოჭინი. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 60 მეტრში მდებარეობს უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. ალის ხევი, რომელიც მდ. ლოჭინის შენაკადია. შესაბამისად, უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტამდე მანძილი საჭიროებს დაზუსტებას;

- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენებით მომარაგების შესახებ, ტრანსპორტირების შესაბამისი სქემისა და პირობების მითითებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე